

LEXICAL UNITS PRESERVING SEMANTIC AND PHONETIC STABILITY
(BASED ON THE CORPUS OF HAGIOGRAPHIC TEXTS)

სემანტიკურად და ბგერობრივად უცვლელი ზოგი სიტყვისათვის
(ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა მასალის მიხედვით)

Maia Khorbaladze

Doctoral student,

Sokhumi State University,

61 Politkovskaya street, 0186, Tbilisi, Georgia

+995 599 97 58 10, maiaxorbaldze083@gmail.com

<https://orcid.org/0009-0001-6208-1905>

Abstract. From a diachronic linguistic perspective, a discernible continuity has been maintained between Old Georgian and Modern Georgian. This continuity, however, coexists with processes of semantic transformation. It is well established in historical linguistics that different lexical strata exhibit varying degrees of susceptibility to change: certain domains demonstrate relative stability, whereas others are characterized by accelerated semantic evolution.

The semantic variability conditioned by shifts in social relations and by the impact of diverse extralinguistic factors provides a productive framework for examining the vitality of the lexicon—its persistence, obsolescence, and semantic reconfiguration. Language not only encodes empirical reality but also articulates evaluative and attitudinal orientations toward that reality. Moreover, the same historical phenomena may be subject to divergent interpretations and axiological assessments across different historical epochs.

Building upon the material of hagiographic writings, it becomes evident that certain lexical units have preserved not only their formal and grammatical characteristics over the centuries, but also their original semantic content. The present study identifies several lexemes attested in hagiographic texts that have remained semantically stable, including: *qedi* (ქედი), *sheratskhva* (შერაცხვა), *khel-its'ipa* (ხელ-იწიფა), and *khati* (ხატი).

Keywords: vocabulary; semantics; hagiography; grammatical features; verb stem.

მაია ხორბალაძე

დოქტორანტი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 61, 0186, საქართველო,

+995 5999 75810, maiaxorbaladze083@gmail.com

<https://orcid.org/0009-0001-6208-1905>

აბსტრაქტი. ენობრივი თვალსაზრისით შენარჩუნებულია კონტაქტი ძველსა და თანამედროვე ქართულს შორის. ამის პარალელურად შეიმჩნევა სემანტიკური ცვლილებებიც. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა მასალაზე დაყრდნობით წარმოჩნდა ის ლექსიკა, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში ფორმასა და გრამატიკული მახასიათებლებთან ერთად შეინარჩუნა თავდაპირველი სემანტიკაც. ასეთია ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში დადასტურებული სიტყვები: **ქედი, შერაცხვა, კელ-იწიფა, ხატი.** თითოეული მათგანმა ახალ ქართულშიც შეინარჩუნა იგივე მნიშვნელობა, რაც ჰქონდა ძველ ქართულში. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ დასახელებულ სიტყვებში მოაზრებული სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსი დღესაც გამოიყენება აქტიურ ლექსიკაში.

საკვანძო სიტყვები: ლექსიკა; სემანტიკა; ჰაგიოგრაფია; გრამატიკული მახასიათებლები; ზმნური ფუძე.

შესავალი. ენობრივი თვალსაზრისით შენარჩუნებულია კონტაქტი ძველსა და თანამედროვე ქართულს შორის. ამის პარალელურად შეიმჩნევა სემანტიკური ცვლილებებიც. როგორც ცნობილია, ენაში ლექსიკის ზოგი უბანი უფრო ნელა იცვლება, ზოგი – უფრო სწრაფად. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობები და სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სემანტიკური ცვლადობამ საშუალება მოგვცა დავეკვირვებოდით ლექსიკის სიცოცხლისუნარიანობას, მის გაჩენა-დაკარგვასა და გადააზრებას. ენას აქვს უნარი, ასახოს არა მხოლოდ გარკვეული მოვლენა, არამედ დამოკიდებულებაც ამ მოვლენის მიმართ. გარდა ამისა, სხვადასხვა ისტორიულ მომენტში ერთი და იმავე ფაქტების შეფასება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

მეთოდები. ნაშრომში ვიყენებთ დიაქრონიული კვლევის მეთოდს, კერძოდ, პროსპექტული ანალიზის ხერხს. დავიხმარეთ აღწერითი და შედარება-შეპირისპირების მეთოდებიც.

შედეგები. წინამდებარე სტატიის შედეგია ძველ და ახალ ქართულ ენას შორის ლექსიკის ცვლილებების წარმოჩენა. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა მასალაზე დაყრდნობით წარმოჩნდა ის ლექსიკა, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში ფორმასა და გრამატიკული მახასიათებლებთან ერთად შეინარჩუნა თავდაპირველი სემანტიკაც. წარმოვადგინეთ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში დაძვნილ სემანტიკურად უცვლელ სრულიად უცვლელ ზოგ სიტყვას: **ქედი, შერაცხვა, კელ-იწიფა, ხატი.**

მსჯელობა. საინტერესოა ენაში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება. ცნობილია, რომ ეს ცვლილებები ვლინდება როგორც ლექსიკაში, ის გრამატიკულ პროცესებშიც. ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ მათგანზე.

ქედი – ადამიანისა და ხერხემლიან ცხოველთა სხეულის ნაწილი. სიტყვა ამ მნიშვნელობით უკვე დასტურდება ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. მაგალითად: „მაშინ უბრძანა დადებად ჯაჰĀ **ქედსა** მისსა და უბრძანა სენაკაჰანსა ერთსა...“ („შუშანიკის წამება“, 2013: 59); „და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი და ჯაჰĀ იგი, რომელ ედვა **ქედსა** მისსა ზედა...“ („შუშანიკის წამება“, 2013: 61); „განუĀურიტენით მაგათ ცხĀრნი და ჯაჰĀ დასდევით **ქედსა** მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერĀთა“ (ჭელიძე, 2014: 12);

ამრიგად, სიტყვა **ქედი** „შუშანიკის წამებასა“ და „ვესტათი მცხეთელის წამებაში“ „კისერს, კისრის უკანა ნაწილს“ აღნიშნავს. მისი ნაწილობრივი სინონიმია სიტყვა **კისერი**.

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ მკაფიოდაა გამოკვეთილი სიტყვის ძირითადი სემანტიკური მნიშვნელობა – **ყელი, კისერი**, დასახელებულია შესაბამისი მაგალითებიც: **ქედი** – „ყელი“, კისერი, „საქციელი“; „მჯარი“: „გამო-თუ-იბას **ქედსა** მისსა ვირით საფქველი“ DE, შდრ.: დამო-თუმცა-ება საფქვილე ლოდი **ყელსა**“ C, მ. 42; „დავარდა **ქედსა** ზედა მისსა“... საყურადღებოა, რომ ამავე ლექსიკონში მოხმობილია საილუსტრაციო ფრაზა, რომელშიც სიტყვა **ქედს** აქვს მეორეული, მეტაფორული მნიშვნელობა და აღნიშნავს **მთათა ბმულს, მთების ჯაჭვს**: „ვიდოდეს **ქედითა** მალლითა“ ეს ფრაზა ადასტურებს, რომ სიტყვა **ქედი** მეორე მნიშვნელობით უძველეს ტექსტებშიც გამოიყენებოდა, ზუსტად ისე, როგორც ამჟამად იხმარება.

ძველქართულ ტექსტებში გვხვდება **ქედ-** ძირისაგან ნაწარმოები რთული სიტყვები: **ქედდრეკილი**, **ქედმოხრილი**, **ქედფიცხელი**, **ქედფიცხელობა**. მაგალითად:

ქედდრეკილი – „ქედმოხრილი“: „ყოველივე შიშუელ და **ქედდრეკილ** არს წინაშე თუალთა მისთა“ ჰებრ.4,13; „**ქედდრეკილნი** წარვდგეთ წინაშე მისა“ მ.სწ.14,36.

ქედფიცხელი-ი – „ურჩი“: „**ქედფიცხელნო** და წინდაუცუეთელნო გულითა“ საქ. მოც. 7,51; „უმჯობეს არს კაცი, მამხილებელი კაცისა **ქედფიცხელისა**“ 0, იგ. სოლ.29,1.

ქედფიცხელობა – „ურჩობა“: „მოიქცენ **ქედფიცხელობისაგან** მათისა“ I.ბარ.2,33 (აბულაძე, 1973: 452).

ზემოთ დასახელებული მაგალითებისაგან განსხვავებით, ეს ლექსემები გადატანითი სემანტიკით, მეტაფორულობით არიან დატვირთული და უკვე აღარ გულისხმობენ ადამიანის სხეულის ნაწილს (კისერს, ყელს). ჩვენი აზრით, ლექსემები **ქედდრეკილი**, **ქედმოხრილი**, **ქედფიცხელი**, **ქედფიცხელობა** ზნეს, მოქცევას, ხასიათის თვისებებს აღნიშნავენ და აქვთ შესაბამისი სინონიმები: **ქედმაღალი** – ამპარტავანი, **ქედფიცხელი** – ურჩი, შეუჯერებელი, ახირებული საქციელისა და ხასიათის მქონე, რომლებიც ფონეტიკურად განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად მეტ-ნაკლებად მსგავსი ლექსემებია. ტროპულ მეტყველებაში მათ მხატვრული ხერხის მნიშვნელობაც შეიძინეს. **ქედმოხრილობა** მეტაფორულად „ძალად დამორჩილებას“ გულისხმობს, რაც იგივე „თავის დახრაა“. ამ სიტყვამ თავისი სემანტიკური მნიშვნელობა დღემდე შეინარჩუნა. რაც შეეხება **ქედფიცხელს**, გვხვდება ტროპულ მეტყველებაში, თუმცა ჩვეულებრივ, ყოფით მეტყველებაში მასზე უფრო პროდუქტულია სიტყვა **ურჩი**.

ზემოთ მოცემულ მაგალითებში საანალიზო სიტყვები უკვე წარმოქმნილი სახელებია, რომელთაც გაკომპოზიტების შემდეგ არსებითი სახელებიდან გადაინაცვლეს ზედსართავ სახელებში.

ქედს კისერს უწოდებს სულხან-საბა ორბელიანიც თავის ლექსიკონში და არ ახსენებს იმას, რომ ამ სიტყვას მთათა მწკრივის სემანტიკაც ჰქონდა (ორბელიანი, 1993: 219), სამაგიეროდ, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ორივე მნიშვნელობაა წარმოდგენილი:

ქედი – ს., კისერი, ქეჩო, шея, затылокъ; завоекъ; დაბად. 27-15; 41-43; გამოსლ. 33-5; იერემ. 18-17; მატ. 18-6; საქმ.15-10; ისაი. 3-16; **ქედი მთისა**, хребетъ горы; ვეფხ. 855; აიღეს აბჯარი თავის თავისა ქედითა, ე.ი. თავ-თავისი აბჯარი აიღესო, იკისრესო, ვეფხ. 1365;

ქედი – თხემი გორათა, მთათა, вершина горы, ვეფხ.199; 435.

ქედი – ს. აკრა, კონცხი, მთა ზღვაში წაწურვილი, мысль, ვეფხ. 616.

სიტყვა **ქედს** მე-12 საუკუნეშიც ჰქონდა შენარჩუნებული ორივე მნიშვნელობა, რასაც გვიდასტურებს „ვეფხისტყაოსანი“:

„მოგვკვდე, თავი არ მეწყალვის, სისხლი ჩემი ჩემსა **ქედსა**“ („ვეფხ.“, 2015: 197) - სიტყვა აქ ანატომიური ტერმინია;

„**ქედსა** გარდავდეგ, ლომ-ვეფხი მოვიდეს ორგნით რებულნი“ („ვეფხ.“, 2015, სტრ. 917) – ამ ადგილას იგივე სიტყვა უკვე გეოგრაფიული ტერმინია.

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც **ქედი** ადამიანის სხეულის ნაწილიცაა და მთიანი ჯაჭვიც, რასაც ადასტურებს ფრაზები მხატვრული ლიტერატურიდან და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები:

„**ქედი** ამომწვა მზე-ყინვამ, ლაპლაპებს, როგორც გიშერი“ (რ. ერისთ.);

„თვალს გტაცებს ყაწიმებისა სიტურფე მეტის-მეტია, დახავსულ-დაჯანგებული იმის მორგვივით **ქედია**“ (ვაჟა).

ქედზე უღელი ადევს – გადატ. დამონებულია: „მონის უღელი თუმც **ქედზე** გვედო, მაგრამ არ შევდრკით, გამოვზარდევით გმირთა რაზმები ჩვენ საიმედო“ (ი. ევდ.).

ქედზე უღელს [და]ადგამს გადატ. [და]იმონებს. „ხალხს... ჯარები შეედგინა, იარაღი ემოვნა და ასე გამაგრებული ემუქრებოდა ეპისკოპოზთ და თავად-აზნაურთ: ... „მობრძანდით, თუ თავი არ შეგმულებიათ, და **ქედს** ძველი უღელი დაგვადგითო!“ (თარგმ.). **ქედის დრეკა, ქედს მოიდრეკს, მოუდრეკს, მოადრეკინებს.**

ქედს [მო]იხრის, ქედს [მო]უხრის, მოახრევიანებს.

ქედის მოდრეკა იგივეა, რაც **ქედის მოხრა.**

„ავთანდილ გადინადირა **ქედი** მაღალი, ტყიანი“ (ხალხ.).

„ჩრდილოეთით უძევს [რაჭას] თვით **კავკასიონის ქედი**“ (ი. გოგებ.).

„მოგესალმებით, **ქედებო**, მომაქვს სალამი გვიანი, ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი“ (ვაჟა).

ქედი პირუტყვის, ცხოველის კისერიცაა:

ქედი (ქედისა) 1. მუშა საქონლის (ხარის, კამეჩის) კისერი, უღლის დასადები ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა **კისერი, ქედი, ქერო** სინონიმებია, **კისერი** ადამიანთა და ცხოველთა კატეგორიაში მაინც განსხვავებულად გამოიყენება: **კისერს** უფრო ადამიანის სხეულის ნაწილის აღსანიშნავად ხმარობენ, **ქეროს** კი – ხშირად ცხოველთა შესახებ საუბრისას. თუმცა ზოგჯერ ადამიანის კისერსაც ასე უწოდებენ. მაგალითად, დავით ჩუბინაშვილს **ქერო** გამოყენებული აქვს კისრის სინონიმად და ეს მაშინ, როცა აგდებით იტყვიან ადამიანის კისერზე: **ქეროში სწვდა, ქერო მოიფხანა.** ამ სიტყვას სულხან-საბა „ამოწეულ კისერს“ უწოდებს.

შერაცხვა – მიჩნევა. სიტყვა სხვადასხვა დრო-კილოს ფორმით დასტურდება ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წერია: „...უმჯობესად **შემირაცხიეს**, რადთა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთშემოსილთა კაცთასა“ („გრ. ხანძთელიც ცხოვრება“, 2013: 298).

საანალიზო სიტყვა ხშირად დასტურდება როგორც სასულიერო, ისე საერო ლიტერატურაში. მაგალითად: „**შერაცხა** ათორმეტთა მათ მოციქულთა მეთათრმეტედ“. საქ. მოც. 1,26; „**ნუ შეურაცხ** ამათ ცოდვასა ამას“ საქ. მოც. 7,80; „**შემრაცხა** მე, ვითარცა მტერი“ M, იოზ. 33,10; „**ნუ შემრაცხებ** (ნუ შემრაცხავ G, ნუ შემრაცხ E) მე ცოდვილთა თანა“ ფს. 27,3; „**ნუ შეურაცხებ** ამას ბრალად“ კ. იერ. გამოჩ. ჯუარ. 240,16; „ვითარცა წინასწარმეტყუელი, **შერაცხა იგი** (აქუნდა DE)“ მთ. 21, 46. „არად **შერაცხილ იყო** დღეთა სოლომონისათა ვეცხლი“ 0, III მფ. 10,21; „**შერაცხილ იყო** ჩვენ შორის - საქ. მოც. 1,17“.

სასულიერო ლიტერატურაში გარდა **მიჩნევისა**, სიტყვის ფუძე გამოიყენებოდა სხვა სემანტიკითაც:

საწყისი **შერაცხილება** ნიშნავდა დიდებულებას, წარჩინებულებას: არა იქსენებდი პატიოსნებასა და **შერაცხილებას** მშობელთა შენთასა მ.სწ.15,22 (აბულაძე, 1973: 484).

რაცხ- ფუძეზე პრეფიქს-სუფიქსის დართვამ მოგვცა შემდეგი ახალი ლექსემები: **შერაცხა, შეურაცხი, შეურაცხები, თანა-შერაცხა, რომელთაგან შეურაცხი, შეურაცხები, შეურაცხებელი** ზედსართავ სახელებად გადაქცეული მიმღეობებია, ხოლო **შერაცხა** და **თანა-შერაცხა** – ზმნები.

ზმნურ ფუძესთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრება აქვს არნ. ჩიქობავას: „რამდენადაც საკვანძო საკითხად ზმნის ფუძის ბუნების საკითხი დადგა, ბუნებრივი იყო დასმულიყო კითხვა: რა მიმართებაშია ზმნის ფუძე სახელის ფუძესთან? ეს კი სახელის ფუძის აგებულებაში გარკვევას მოითხოვდა. ამ მხრივ ფუნდამენტალური მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ერთი და იგივე პრეფიქს-სუფიქსებია გამოყენებული სახელთა საწარმოებლად, როგორც ზმნის, ისე სახელის ფუძისაგან. ერთი და იგივე აფიქსებია მიმღეობაში, ნაწარმოებ რიცხვითს სახელებში, ზედსართავ სახელებში, თვით „სადა“ არსებით სახელებშიც. ეს ფაქტი იმდენად თვალსაჩინოდ გამოგვევლინა ანალიზის პროცესში, რომ შესაძლებლად მივიჩნიეთ ნაზმნარი სახელის – მიმღეობის, – აფიქსების მიხედვით გვეწარმოებინა სახელის ფუძეში აფიქსთა გამოყოფა (და პირუკუ)“ (ჩიქობავა, 1942: 10,11, 18,19). თუ არნ. ჩიქობავას ამ მოსაზრებას დავეყრდნობით, უნდა დავასკვნათ, რომ **რაცხ-** ძირზე დართულმა აფიქსებმა მოგვცეს სახელებიცა და ნაზმნარი სახელებიც. **შერაცხა** ზმნისაგან მიღებულია ნაზმნარი სახელი **შერაცხილება**.

საანალიზო სიტყვას „მიჩნევად“ განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც დაურთავს კიდევ ერთი განმარტება – „ანგარიშში ჩავდება“.

დასახელებული სიტყვის სემანტიკურ ჩამონათვალს რამდენიმე ლექსემას ურთავს დავით ჩუბინაშვილიც. მაგალითად: **შერაცხვა** (შევკრაცხ), ზ.მ. აღვრიცხავ, ჩავაგდე რადმე, მივიჩნევ, მივათვლი, ჩავაგდე ანგარიშში; считать, почитать, ставить, брать; причитывать, ставить в счет (ჩუბინაშვილი, 1984: 1455);

საერთო ძირი აქვთ ზმნებს **შემირაცხიეს** და **აღვრიცხავ** – ორივე ნაწარმოებია საწყისისაგან **შერაცხვა**, სემანტიკურად კი განსხვავდებიან. სხვაობა მხოლოდ ფონემურ სტრუქტურაშია: უფრო ძველ ვარიანტში ა ხმოვანია წარმოდგენილი, ახალში კი – ი ხმოვანი. სემანტიკის ცვლა, ვფიქრობთ, იოლი ასახსნელია: **დიდებულება, წარჩინებულება** ახალი შინაარსითაა დატვირთული და ადამიანთა მაღალ წარმომავლობას, დიდგვაროვნობას უსვამს ხაზს. **შერაცხვა** იგივე **აღიარებაა**. მაგ., წმინდანად შერაცხეს, ანუ წმინდანად აღიარეს, წმინდანთა დასს მიათვალეს.

დღეს ამ სიტყვამ თავდაპირველი მნიშვნელობა შეინარჩუნა. მაგალითად: **წმინდანად შერაცხეს** „წმინდანად მიიჩნიეს“.

კელ-იწიფა – „უფლების ქონა, იკისრა, თავის თავზე აიღო, გაბედა“. პირველად ის დასტურდება „შუშანიკის წამებაში“: „რაღა **კელ-იწიფა** ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ?“ („შუშანიკის წამება“, 2013: 47). აქ საანალიზო სიტყვა გამოყენებულია მნიშვნელობით **რა უფლება ჰქონდა (იკისრა, უფლება აიღო)**. სიტყვა სხვა ტექსტებშიც გვხვდება:

კელ-გეწიფების „აწ განკითხვაა მათი თქუენ **კელ-გეწიფების**“ (ჭელიძე, 2014: 16).

კელ-ეწიფების „მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას **კელ-ეწიფების** სიკუდილი და ცხორებაა“ (ჭელიძე, 2014: 10).

„ხოლო მე შევიპყრენ და შენ, უფალსა მოგიძლუანან, რამეთუ შენ **კელ-გეწიფების** მაგათი განკითხვა“ (ჭელიძე, 2014: 10).

„ვერავის **კელ-იწიფების** მონებაა ორთა უფალთა“ („გრ. ხანძთელის ცხოვრება“, 2005: 157).

საანალიზო სიტყვა დამოწმებულია V-VI-X საუკუნეების ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან: „შუშანიკის წამება“, „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“ და „ცხორებაა წმიდისა გრიგოლისი“.

სიტყვა **კელეწიფების** შემდეგნაირად განიმარტება სულხან-საბას ლექსიკონში:

„**კელეწიფების** (+ 1. კორინთ.3, 11 Z) **შედლება აქვს** ZA. კელეწიფებოდა შედლება ჰქონდა ZACხ. შედლება ჰქონდასავით B. (ორბელიანი, 1993: 438).

ის მეტად პროდუქტიული ჩანს სასულიერო ჟანრში. დავიმოწმებთ ფრაზებს მათესა და იოანეს სახარებიდან, აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტიდან (IXს.):

„ვერავის **კელ-ეწიფების** ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუად იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხყოს. ვერ **კელ-ეწიფების** ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“ [მათეს სახარება, 6თ. 24.25] (მართლმადიდებლური საქართველო, მასალები ვიკიპედიიდან).

„ვერავის **კელ-ეწიფების** მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა“.

„ხოლო შემდგომად ჟამთა მრავალთა მოვიდეს იგინი კელთა ლუკა მახარებელისათა და დასხნა იგინი მან, სადა-ცა თვთ იცის. ხოლო სუდარი არა იპოვა, ვითარცა ჯორცნი ქრისტესნი. თქუეს ვიეთ-მე პეტრესთვს, ვითარმედ **კელ-ეწიფა** ახუმად-ო და აქუნდეს, გარნა განცხადებულად არაჲ მიუთხრეს, ვითარ სხუად ყოველი.-აღწერილი მის[ი]ვე (სალომე უჟარმელისაჲ – საქართველოს ისტორიისათვის. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდის კრებულის 1979 წლის გამოცემიდან – მასალები ვიკიპედიიდან).

ხატი – გამოსახულება. სიტყვა არაბულია და ნიშნავს „ხაზს, ნაწერს“, ქართულში კი მიიღო წმინდანის გამოსახულების სემანტიკა. სიტყვა პირველად დასტურდება „შუმანიკის წამების“ ტექსტში, მაგრამ აშკარად არ ეწერა თავდაპირველ ტექსტში, რადგან V საუკუნეში, როცა დაიწერა ეს თხზულება, არაბულ ენას არ შეეძლო ქართულზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა: „შენ ჩემი **ხატი დაამჯუ...**“ („შუმანიკის წამება“, 2013: 47). აქ სრულიად უდავოა, რომ გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმი **ხატის დამჯობა**, რასაც გადატანითი სემანტიკა აქვს და ნიშნავს „ვინმეს ღირსების შელახვას, დაკნინებას, დამცირებას, სხვისი სახელის გატეხას“, ანუ თხზულების გვიანდელი გადამწერი გვამცნობს, რომ ვარსკენი განარისხა ცოლის შინიდან უნებართვოდ გაქცევამ, რაც მას თავისი ღირსების შელახვად მიაჩნდა.

სიტყვა **ხატი** წმინდანის გამოსახულებისა და ამ სემანტიკასთან ახლომდგომი მნიშვნელობებითაა წარმოდგენილი V-X საუკუნეების ქართულში, რაც ასახულია ი. აბულაძის ლექსიკონში:

„**ხატი** გამოსახულება, ნახატი, მსგავსება, „ფერი“, სახე, სურათი, შესახედაობა: „ვისი არს ესე **ხატი?**“ C, მთ. 22,20; „**ხატი** და დიდებაჲ ღმრთისაჲ არს (მამაკაცი)“ I კორ. 117,7; „**ხატნი** მისნი დამუსრნეს წულილად“ 0, IVმდ. 11,18; „ეკლესიაჲცა აღაშწინან უწინარღს **ხატების**, რომელი გამოწერიან მას შინა“ H.-622,58 r; ვითარცა **ხატი** მეუფეთაჲ გამოწერილი შუენიერად რჩეულთა მით მრავლითა წამლითა“ Sin.-97,87v; ქმნა **ხატი** ოქროსაჲ“ 0.დან.3,1; „**ხატი** მონებისაჲ შეემოსა“ ე. კეს.-საეკლ.უწყ.1218; „იყო წინანდელსავე **ხატსა**“ ფლპ. მოც. 8,39; „**ხატი** აქუს სამეფოდ“ - ღმობ. 184, 27; „**ხატები** კერპებისა მათისაჲ დასწუა ცეცხლითა“ M.II შჯ. 7,25; „ნუ განირყუნე **ხატსა** ვთარცა ორგულნი იგი“ ბ. კეს.-მარხ. 59 r; „ვერცა სენი და ვერცა სიმძიმე შესცვალებს ფერსა და ქმნულებსა **ხატისასა**“ მ.სწ. 8,32; „იცვალა სხუად **ხატად** წინაშე მათსა“ DE.- შდრ. „სხუა **ფერ** იქმნა მათსა“ C მრ. 9,2; „**ხატიცა** ეგე წამებს შენისა აზნაურებისათვს“ სავ. წიგ. II, 36,26; „შენ ჩემი **ხატი დაამჯუ**“ შუმ. IV,17.

ამ სიტყვითაა ნაწარმოები შემდეგი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები:

ხატი-ი ქმნულებისა-ი – „მსგავსება“: „**ხატი ქმნულებისა** არა იხილოთ“ M-, შდრ. „მსგავსებაჲ არა იხილეთ“ C. II შჯ. 4,15. იხ.: თანახატი-ქმნა, გამომხატვარი, გამოხატვა, მხატვარი, ხატვა.

ხატება – „მსგავსება, გამოსახულება“: „შენ გაქუს **ხატება** მისი, რომელი-იგი უმაღლეს არს“ მ. სწ.289,33.

ხატვა: „იხილნა...ხატნი გამოწერილნი **ხატვით**“ 0.ეზეკ.23,14;იხ. ხატი; შდრ.მხატვარი.

ხატკეთილობა – „შუენიერება“, „სილამაზე“: „უფროსი სიცოცხლისა და ხატკეთილობისა შევიყვარე იგი“ 0.-შდრ. „უფროსდა სიცოცხლისა და შუენიერებისა შევიყვარე იგი“ pb.სიბრძ. სოფ. 7,10.

ხატშუენიერი-ი – „მშვენიერი, ლამაზი“: „ქმნულკეთილი იგი და ხატშუენიერი და უშუერი იგი ერთსახედ აჩუენებდენ, რამეთუ ყოველივე მატლ და წუთხ და წალა იქმნას“ 8 სწ. 225, 21. იხ. **შუენიერი** (აბულაძე, 1973: 561).

ამავე **ხატ** ფუძეზე აფიქსების დართვა გვამღევს სემანტიკურად განსხვავებულ შემდეგ ლექსემებს: **ნახატი, თანახატ-ქმნა, გამომხატვარი, გამოხატვა, მხატვარი...**

ხატს სულხან-საბა ორბელიანი **მსგავსი სახის შექმნას** უწოდებს, რაც წმინდანების გამოსახვას უკავშირდება, ხოლო პიროვნება, ვინც ხატებს ქმნის, მისი თქმით, **მეხატურია** (ორბელიანი, 1993: 418);

სიტყვა **ხატს** არაბულად მიიჩნევს დავით ჩუბინაშვილი და მას „გამოხატულს“, „გამოწერილს“ უწოდებს: **ხატი** (არაბ.) ს. სახე გამოწერილი, გამოხატული; образъ, икона; ხატი, მრ. ხატნი подиѡнѣ მეზრ ხატად подиѡнѣмъ подиѡнѣмъ (ჩუბინაშვილი, 1984: 1725).

ამ მნიშვნელობათა ნაწილი ამჟამადაც შენარჩუნებული აქვს სიტყვა **ხატს**, რაც ჩანს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც:

ხატი-ი (არაბ.) 1. (ძვ და წიგნ.) გარეგნობა, სახე. 2. ღვთაების ან წმინდანის (წმინდანების) მხატვრული გამოსახულება, რომელსაც მორწმუნეები თაყვანს სცემენ 3. წარმართული ღვთაება, რომელიც თითქოს მფარველობს მთელ თემს ან ცალკეულ გვარს (ფშავ-ხევსურეთში) || ამ ღვთაების სამყოფლად მიჩნეული სალოცავი ადგილი (ქეგლი, 1990: 1246).

ხატ ფუძეზე **-ობა** მაწარმოებლის დართვა აფართოებს მის მნიშვნელობას და გვამღევს ამჟამინდელი მესამე მნიშვნელობისაგან მომდინარე სემანტიკურად ახალ ერთეულს – **ხატობა**, რომელიც რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავს: „ჟამი მოვიდა საუფლო, /ხალხი **ხატობას** დიოდა, /უნდა აცნობონ ბატონსა, ვისაც კი რამა სტკიოდა“ (ფაჟა).

ხატვის პროცესს უკავშირდება ასევე შემდეგი მნიშვნელობები: **გამოსახულება, გამოხატულება, გამომხატველი, თანა-ხატქმნა, მხატვარი, მხატვრობა.**

სიტყვა **ხატი** სახის მნიშვნელობითაა გამოყენებული „შუშანიკის წამებაში“: „მაშინ შემიტევა ფარულად და ვითარ შევედ შინა, ვიხილე **ხატი** მისი დაბძარული და განსივებული“ („შუშანიკის წამება“, 2013: 54). პოეტი ალ. ჭავჭავაძე ამავე სიტყვას სხვა სემანტიკით, სურათის აღმნიშვნელად იყენებდა: „აჰა, ჩვენისა მომავლისა ნამდვილი **ხატი**“.

ამრიგად, სიტყვა **ხატი**, რომელიც არაბობის დროიდან დამკვიდრდა ქართულ ენაში, საუკუნეთა განმავლობაში ინარჩუნებს თავის ძირითად სემანტიკას და ამჟამადაც აქტიურ ლექსიკას განეკუთვნება. რაც შეეხება მის მეორეულ მნიშვნელობებს, ყველა მათგანი უშუალოდ გამომდინარეობს მთავარი მნიშვნელობისაგან და აქვთ საწყის სემანტიკასთან ასოციაციური კავშირი.

დასკვნები. მოძიებულმა მასალამ ცხადყო, რომ სიტყვათა ნაწილმა საუკუნეთა განმავლობაში შეინარჩუნა არა მარტო ფორმა და გრამატიკული მახასიათებლები, არამედ თავდაპირველი სემანტიკაც. ეს ფაქტი კი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართული ენის მონოლითურობას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

- გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., & როდონაია, ვ. (2005). *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*. IX კლასი. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.
- „ვეფხისტყაოსანი“. (2015). თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა“.
- ორბელიანი, ს.-ს. (1991). *ლექსიკონი ქართული*. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. (1990). ერთტომეული, ნაკვეთი მეორე. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- ჩიქობავა, არნ. (1942). *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჩუბინაშვილი, დ. (1984). *ქართულ-რუსული ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

REFERENCES

- abuladze, i. (1973). *dzveli kartuli enis leksik'oni (masalebi) [Dictionary of the Old Georgian Language (materials)]*. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".
- gigineishvili, m., grigolashvili, l., & rodonaia, v. (2005). *dzveli kartuli lit'erat'uris krest'omatia [Chrestomathy of Old Georgian Literature]*. IX Grade. Tbilisi: Publishing House "Sakartvelos Matsne".
- „vepkhist'qaosani“ [“The Knight in the Tiger's Skin”]. (2015). Tbilisi: Publishing House “Palitra“.
- orbekiani, s.-s. (1991). *leksik'oni kartuli [Dictionary of Georgian]*. I. Tbilisi: Publishing House “Merani“.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Explanatory Dictionary of the Georgian Language]*. (1990). One volume, second volume. Tbilisi: Georgian SSR Academy of Sciences, Institute of Linguistics.
- chikobava, arn. (1942). *sakhelis pudzis udzvelesi agebuleba kartvelur enebshi [The Ancient Structure of the Name Stem in the Kartvelian Languages]*. Tbilisi: Publishing House of the Georgian SSR Academy of Sciences.
- chubinashvili, d. (1984). *kartul-rusuli leksik'oni [Georgian-Russian Dictionary]*. Tbilisi: Publishing House “Sabchota Sakartvelo“.